საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4251
08/08/2022

4251-21-2-202208081810

შპს „ნიუ ჯეო როუდს“

მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი,

საირმის ქუჩა, N35, სართული 1, კომერციული ფართი N3.

ელექტრონული ფოსტა: Giorgikukhalashvili7@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა შპს „ნიუ ჯეო როუდის“ მიერ 2022 წლის 29 ივლისს წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში, რომელიც ეხება სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარისა და ასფალტის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მითითებული და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ასფალტის საწარმოსა და სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარის სამუშაო რეჟიმის შესახებ ინფორმაცია (წლის განმავლობაში სამუშაო დღეებისა და დღის განმავლობაში სამუშაო საათების რაოდენობის მითითებით), რაც მნიშვნელოვანია გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობის განსაზღვრისთვის. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს ასფალტის საწარმოს საპროექტო წარმადობის შესახებ ინფორმაცია (კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით, ასფალტის წარმოების მასშტაბი დამოკიდებულია გარემო პირობებზე (სეზონურობაზე) და მოთხოვნაზე);
- დაზუსტებას საჭიროებს ასევე წლის განმავლობაში გადასამუშავებული ქვიშა-ხრეშის საპროექტო რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობის შეფასების მიზნით დაზუსტებას საჭიროებს ქვიშა-ხრეშის გადამუშავების მეთოდის შესახებ ინფორმაცია (სველი, მშრალი);
- მნიშვნელოვანია დაზუსტდეს ინფორმაცია გარემოსდაცვითი კუთხით შემოთავაზებული ტექნოლოგიური ალტერნატივების შესახებ, ალტერნატიული ვარიანტების შედარებითი ანალიზის, მათ შორის დადებითი და უარყოფითი მხარეების მითითებით;
- დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საპროექტო ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის

გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. მათ შორის, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს ინფორმაცია - ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წარმომქმნელი წყაროების/დანადგარების, ასევე აღნიშნული დანადგარებიდან წარმოქმნილი ხმაურის დონე(ებ)ის და ხმაურის გავრცელების არეალის შესახებ;

- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია მტვერდამჭერი სისტემის ტიპისა და ეფექტურობის შესახებ. ასევე დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ფილტრის (ტიპი, ეფექტურობა) შესახებ, რომლის გავლით დაგეგმილია საშრობ დოლში გამოყოფილი ნამწვი აირისა და შემრევში ბიტუმის მიწოდებისას გამოყოფილი მავნე ნივთიერებების ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიის გენ-გეგმა, რომელიც საშუალებას უნდა იძლეოდეს საწარმო ობიექტის, ასევე მისი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების აღქმის/გაანალიზების შესაძლებლობას (სადაც დატანილი იქნება ყველა საპროექტო ინფრასტრუქტურა);
- დაზუსტებას საჭიროებს ბიტუმის სამარაგო რეზერვუარების რაოდენობისა და მოცულობის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, როგორც თქვენთვის ცნობილია ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობა-ექსპლუატაცია ასევე წარმოადგენს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' II დანართით განსაზღვრულ საქმიანობას;
- დასაზუსტებელია მინერალური ფხვნილის საჭირო რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს სილოსების შესახებ ინფორმაცია (რაოდენობა, ტიპი, მოცულობა);
- დაზუსტებას საჭიროებს სატრანსპორტო გადაზიდვებით (ნედლეული, პროდუქტი) მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, სამოძრაო მარშრუტისა და დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობების მითითებით;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს წყვეტს სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას. სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით სააგენტო ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს წერილში მითითებული საკითხების გათვალისწინებით განახლებული/კორექტირებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ. **ამასთან, გთხოვთ წერილში მითითებულ საკითხებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია განახლებულ სკოპინგის ანგარიშში წარმოადგინოთ ცხრილის სახით, შესაბამისი გვერდების მითითებით.**

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო